

ფინანსური ინსტიტუტების განვითარების ეტაპები

საქართველოში 1990 -2017

მარიამ ბროძელი

ნათია მაღრაძე

ნატო ილურიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის, საბანკო და საფინანსო საქმის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად.*

პროგრამა: საბანკო და საფინანსო საქმე

სამაგისტრო პროექტის ხელმძღვანელი: გიორგი ხიშტოვანი - ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2017

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ, ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენებული ან ციტირებული სათანადო წყაროების შესაბამისად.

მარიამ ბროძელი

2017 წელი

ნათია მაღრაძე

2017 წელი

ნატო ილურიძე

2017 წელი

## აბსტრაქტი:

ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს საკითხი, თუ რატომ არ გვაქვს დღეს საქართველოში საფონდო ბირჟა ისეთივე განვითარებული და რა ფაქტორები ახდენს ზეგავლენას თითოეული მათგანის განვითარებაზე. ჩვენი პროექტის მიზანია საქართველოს ფინანსური ბაზრის შემადგენელი ძირითადი სექტორების განვითარების ეტაპების აღწერა. რატომ ხდება, რომ ზოგიერთი ინსტიტუტი უფრო მძლავრად ვითარდება სხვებთან შედარებით. ჩვენი პროექტის მნიშვნელოვანი მიზანია, ასევე, სახელმწიფოსა და ეროვნული ბანკის როლის განსაზღვრა ფინანსური ინსტიტუტების განვითარების ეტაპებზე.

ჩვენ ავირჩიეთ პირველადი მონაცემების შეგროვებისათვის ყველაზე ფართოდ გამოყენებადი მეთოდის სახეობა - ინდივიდუალური გამოკითხვა. პირველადი მონაცემების შეგროვებისთვის გამოვიყენეთ ჩაღრმავებული ინტერვიუები დარგის ექსპერტებთან, რის საფუძველზეც სრული სურათი ვაჩვენეთ, თუ როგორია რეალობა ფინანსური ინსტიტუტების განვითარების გზაზე, რამდენად თანმიმდევრულად ვითარდება ისინი, რა ხელისშემშლელი სუბიექტური და ობიექტური ფაქტორები მოქმედებს მათი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. წარმოვადინეთ „როგორია ექსპერტების მოსაზრებები, არგუმენტები და რეკომენდაციები აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში.“

ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია იმის თქმა, რომ საფონდო ბირჟის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია სხვა ფინანსური ინსტიტუტების განვითარებაც. მათ სჭირდებათ ბანკები, როგორც არა მხოლოდ კონკურენტები, არამედ დამფინანსებლები. კვლევის საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სექტორის განვითარებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს ეროვნული ბანკი, საქართველოს მთავრობა და საერთაშორისო ორგანიზაციები.

რეკომენდაციის სახით შეგვიძლია იმის თქმა, რომ საჭიროა ძლიერი ფინანსური ინსტიტუტის არსებობა, საბანკო და სააქციო ბაზრის სისტემის სიმდიერე რათა განვითარდეს ეკონომიკა.

## **Abstract**

The subject of our research is the question of why we do not have a stock market as developed in Georgia today and what factors affect the development of each of them. The purpose of our project is to describe the stages of development of major sectors of the financial market of Georgia. Why it is that some institutions develop more strongly than others. Our project's important goal is to define the role of the state and the bank at the stage of development of financial institutions.

We have chosen the most widely used method for collecting primary data- individual survey. For the purpose of collecting primary data, we have used in- depth interviews with the field experts to demonstrate the full picture of what the reality on the development of financial institution is, how consistently they are developed, what obstacles the subjective and objective facts affect at different stages of development. We have presented how the experts' opinions, arguments and recommendations are related to this issue.

Based on the analysis we can say that for the development of the stock market it is important to develop other financial institutions too. They need banks as not only competitors but also as sponsors. Based on the research we can say that the national bank, the Georgian government and international organizations play an important role in the development of the sector. As a recommendation we can say that it is necessary to be a financial institution, the strength of the banking and stock market system to develop the economy.